

ტესტის სახელწოდება

კალიუმი

ტესტის ალტერნატიული დასახელება

K

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში კალიუმის რაოდენობას განსაზღვრავს. კალიუმი ორგანიზმისთვის აუცილებელი ელექტროლიტია – იგი საჭიროა უჯრედის მეტაბოლიზმისთვის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებისთვის, ასევე ნერვებისა და კუნთების (მათ შორის, გულის კუნთის) ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ნერვებსა და კუნთებში სიგნალის გადაცემისთვის, კუნთების შეკუმშვისთვის და ორგანიზმისთვის საჭირო ბევრი სხვა ფუნქციისთვის.

ჩვეულებრივ, ადამიანი საკვების სახით საკმარისი რაოდენობით იღებს კალიუმს. კალიუმის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც ორგანიზმს არ სჭირდება, თირკმელების მიერ შარდით გამოიყოფა.

როგორც კალიუმის მაღალი დონე (ჰიპერკალემია), ასევე მისი დაბალი დონე (ჰიპოკალემია) სახიფათოა და შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში გართულებები გამოიწვიოს.

კალიუმის კონცენტრაციის ცვლილება ყველაზე მეტად გულზე აისახება – ჰიპოკალემია არითმიებს იწვევს, ჰიპერკალემია კი გულის კუნთის შეკუმშვის უნარზე მოქმედებს. კალიუმის ნაკლებობა ან სიჭარბე, ასევე აისახება ნერვებსა და სხვა კუნთებზე, იწვევს კრამპს, კუნთების სისუსტეს, გულისრევას.

კალიუმის დონე, ძირითადად, ჰორმონ ალდოსტერონის მეშვეობით რეგულირდება, რომელსაც თირკმელზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

კალიუმის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს:

- როდესაც პაციენტს თირკმელების დაავადება აღენიშნება;
- როდესაც პაციენტს შარდმდენებით მკურნალობენ;
- ჰიპო- ან ჰიპერკალემიის გამოსავლენად; როდესაც ადამიანს კალიუმის მაღალი ან დაბალი დონის ნიშნები აქვს, მაგ.: არითმია;
- ჰიპერკალემიის ან ჰიპოკალემიის გამო ჩატარებული სამკურნალო ღონისძიებების ეფექტურობის შესაფასებლად;
- ჰიპერტენზიის ან დიაბეტური კეტოაციდოზისას;
- იმ პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომელთაც ინტრავენური გადასხმა უტარდებათ.

კალიუმის ანალიზი, ჩვეულებრივ, სხვა ელექტროლიტების ტესტებთან ერთად

ინიშნება; მაგ. როგორებიცაა ნატრიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ფოსფორის ანალიზები.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ექიმის მიერ.

ზოგადად, ჰიპერკალემია შეიძლება გამოწვეული იყოს:

- თირკმელების უკმარისობით
- მეტაბოლური ან რესპირატორული აციდოზით
- ქსოვილების დაზიანებით
- სისხლის წითელი უჯრედების დაშლით
- ზოგიერთი მედიკამენტით
- კალიუმის ჭარბი რაოდენობით მიღებით

ჰიპოკალემია შეიძლება გამოიწვიოს:

- დიარეამ
- ღებინებამ
- ჰიპერალდოსტერონიზმმა
- ზოგიერთმა შარდმდენმა